ბრძანება:ბ94. 94260561
თარიღი:25/02/2026

ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ,,პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებისა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მგზავრიძის 2026 წლის 25 თებერვლის №05-942605671 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“), შემდეგი შემადგენლობით:

ა) მამუკა თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერი, თავმჯდომარე;

ბ) იმედა ვასაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მამუკა ფარტენაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, წევრი;

დ) დავით თედორაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, წევრი;

ე) გენადი ანანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი, წევრი;

ვ) სულიკო სურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი;

ზ) ეკა გოგუაძე-მახარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი (კოორდინატორი);

თ) ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი, წევრი;

ი) გულადი წითელაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, წევრი;

კ) ბადრი სურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის უფროსი, წევრი;

ლ) შოთა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, წევრი;

მ) ქედის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, წევრი;

ნ) ნინო ლოლაძე - GIPA-ს ლექტორი; GIZ-ის მოწვეული ექსპერტი, წევრი (მოწვეული).

2. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის შეიქმნას სამუშაო ჯგუფის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი მგზავრიძე- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ბ) სულიკო ჩხიკვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

გ) ინდირა გორგაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

დ) სოფიო გოგუაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკის დაგეგმვისა და განვითარების საკითხებში.

3. დამტკიცდეს:

ა) 2027 - 2028 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი №1 - ის შესაბამისად;

ბ) 2027 - 2028 წლების მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით, დანართი №2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადების ფორმები, დანართი №№3-5 შესაბამისად.

4. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი №1-ს) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

ე) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

ვ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები (დანართი №№ 6-7.).

5. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება:

ა) სამუშაო ჯგუფს დაევალოს მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2027 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში საპილოტე პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;

ბ) სამუშაო ჯგუფმა, ბიუჯეტის დანერგვის პროცესში, აქტიურად ითანამშრომლოს ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოსთან, მერიაში ქალთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

გ) სამუშაო ჯგუფის სხდომებზე, ბიუჯეტის საკითხების განხილვის დროს, უზრუნველყოფილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს წარმომადგენლების (თავმჯდომარე, მდივანი და სხვა დაინტერესებული პირები), მერიაში ქალთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელ პირებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა და მონაწილეობა.

6. ბრძანების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბ. სურმანიძემ.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი. ფ. ხალვაშის გამზირი №358).

8. ბრძანება ძალაშია 2026 წლის 01 მარტიდან.

მამუკა თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი